

ნახ. ბ. შირცხალავასი

ილა. ზ. ფორტხიძის
გეგმვა



ჩვენი ვაშა, ჩვენი ტაში
აწანწარებს ტერს და კედლებს,
საღუტს გაძლივთ თქვენი მხარე
გამარჯვების ოქრომჭედლებს.

ამ სეზონში „ქუდბეღობა“
დაგვეკვება, დაგვენათლა,
თქვენ ტაშკენტში რომ დეღავდით,
ჩვენ აქ ჩვენი დაგვემართა.

ახლა, როცა უველაფერი
ასე კარგად დაგვირგვინდა,

კაცის გული ხარბი არის,
მომავალ წელს თასიც გვინდა.

შოთა, სერგო, მიშა, სლავა,
ვლადიმერო, გოგი, ილო,
ვასტანგ, ჭემალ, გურამ, ბორის,
ალექსანდრე, ავთანდილო,

მინდვრად თქვენი უემართება
უნაყოფოდ არ ჩავლილა.
გაუმარჯოს ოქროს ბიჭებს,
Надо качать Качалина!



ამაო ცრემლები

ნიანგის მე-10 ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი სათაურით „ძროხის ცრემლები“. მასში მოთხრობილი იყო ხ. ლორთქიფანიძის, ა. დოლიძის, ჯ. პეტრიძისა და ხ. ირემიძის საქმენი საგმირონი.

ამ არამუსიკალური „კვარტეტის“ წევრები სხვადასხვა მხრიდან გაგზავნეს თივის დასამზადებლად სტავროპოლის მხარეში, მათ კი წამგლეჯის ერთნაირი ხერხები გამოიმუშავეს და ყალბი შესყიდვის აქტებით და ათასგვარი მაქინაციებით მიითვისეს კოლმეურნეობათა თანხები, ძროხები კი პირში თივაგამოვლებული, თვალცრემლიანი და მშვიერი დატოვეს.

წამგლეჯები და კომბინატორები მალე ჩავარდნენ.

სასამართლომ სათანადოდ შეაფასა ამ სახელგანთქმული „კვარტეტის“ მოღვაწეობა. ხ. ლორთქიფანიძეს, ა. დოლიძეს და ჯ. პეტრიძეს სამ-სამი წლით პატიმრობა მიესაჯა თითოეულს, ხოლო ხ. ირემიძეს—ოთხი წლით პატიმრობა.

ინავ ძროხების შესახებ

ფელეტონი „ძროხებით მოვაჭრენი“, რომელიც ნიანგმა თავის მე-13 ნომერში დაბეჭდა, ეხებოდა შ. დარჩიასა და ჯ. თავამაიშვილის (მახარაძის რაიონი) დანაშაულებრივ მოქმედებას.

აღნიშნული პირები მივლინებულ იყვნენ ხერსონის ოლქში ჯიშიანი ძროხების შესაძენად. მათ კი საქმე საკუთარი ჯიბის გასასქელებლად წარმართეს. ყალბი აქტებითა და მაქინაციებით საქმეოდ დიდი თანხა ჩაიჯიბეს.

საქართველოს კვ მახარაძის სასოფლო საწარმოო კომიტეტი ატყობინებს ნიანგს, რომ ფელეტონში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კომიტეტის ბიურომ განიხილა წამგლეჯთა საკითხი და სათანადოდ დასაჯა ძროხებით მოვაჭრენი.

ანონიმური წერილების დიდოსტატთა „მოღვაწეობის“ დასასრული

მკითხველებისათვის ცნობილია ნიანგის მე-14 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი „ანონიმური წერილების დიდოსტატთა „არტელი“. მასში მოთხრობილი იყო ანონიმური წერილების დიდოსტატების არკადი (არტაშა) ვასილის-ძე რევაზოვისა და ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მიქაძის „შემოქმედებით“ მუშაობის შესახებ.

არტაშას „არტელი“ ცილისმწა-



მებლურ ანონიმურ წერილებს წერდა პატიოსან მუშაკებზე. უსახელო განცხადებები იგზავნებოდა პარტიულ, საბჭოთა და საგამომძიებლო ორგანოებში. განსაკუთრებული იერიში მიჰქონდათ საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკების წინააღმდეგ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, არტაშას „არტელში“ შრომა შემდეგნაირად ჰქონდათ განაწილებული: რევაზოვი კარნახობდა, ხოლო მიქაძეს ქალაქზე გადაჰქონდა მისი ღვარძლიანი სიტყვები.

თავიანთი შემოქმედებისადმი დიდი სიყვარულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რევაზოვი სათუთად ინახავდა სხვადასხვა ორგანოებში გაგზავნილ ცილისმწამებლურ წერილების დედნებს.

ამ სინდისდაკარგული ადამიანების საქმე ახლახან გაარჩია თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ და სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თითოეულს. არტაშას „არტელმა“ შესწყვიტა მუშაობა. ეს ფაქტი უსახელო წერილების სხვა ავტორებისათვისაც ჰქუის. სასწავლებელია.

ბაღდავის დუქანი დაიწერა

მაიაკოვსკის რაიონის დაბა ვანში არსებული თორნე რ. ბაღდავაძემ საკუთარ დუქნად გადააქცია, სწერდა ნიანგი თავის მე-17 ნომერში. ბაღდავაძე პურის ფქვილს, რომელიც მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი, ქორწილებსათვის აძლევდა სხვა რაიონიდან ჩამოსულ მოქალაქეებს.

მაიაკოვსკის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. იობიძე სწერს ნიანგს:

„წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, რ. შ. ბაღდავაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში“.

ბაღდავაძის დუქანი დაიხურა, ხოლო დაბა ვანში არსებული პურის თორნე მუშაობს.

ცუდად ნამღერი ბალადა

ყველას უყვარს ზოოპარკი და, ცხადია, ვერ შეურიგდება იქაურ მკვიდრთა ცხოველებისა და ფრინველების უდიერ მოპყრობას.

მიმდინარე წელს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა, შემოსული სიგნალების საფუძველზე, შეამოწმა და განიხილა თბილისის ზოოპარკის მუშაობის საკითხი.

აღმოჩნდა, რომ ზოოპარკის ადმინისტრაცია, სახსრების უქონლობის გამო, ზოგჯერ ვერ იძენდა პროდუქტებს, რომლებიც ნორმით გათვალისწინებული იყო ცხოველების გამოსაკვებად. ამის შედეგად, სისტემატურად ირღვეოდა ცხოველთა კვების რეჟიმი. შემოწმების დროს არც საწყობში იყო ყველაფერი რიგზე.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა დასახა საჭირო ღონისძიებები ზოოპარკის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რაც ძირითადად შესრულებულია. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის მასალის საფუძველზე, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ 3 სექტემბერის ნომერში დაიბეჭდა წერილი „როცა მხეცები დაცვას საჭიროებენ“.

ნიანგის მე-19 ნომერში გამოქვეყნდა მ. შილდელის ლექსი, რომელიც, თითქოს, გაზეთში დაბეჭდილ მასალას ეყრდნობოდა, სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად გადმოგვცემდა საქმის ვითარებას. გამორკვევით აღმოჩნდა, რომ ლექსში მოხსენებულ ზოოპარკის მუშაკებს, გომურაშვილს და გაბიანს ბრალი არ მიუძღვით ცხოველთა ულუფის დატაცებაში, რასაც საერთოდ არ ჰქონია ადგილი ზოოპარკში.

ლექსი ასცდა მიზანს და ცუდად ნამღერი „ბალადა“ გამოვიდა.

კვადაკვა

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ოცდაერთე „ღამეხარნი“

სწავლამოწყურებულნი

იმ დღეს, როგორც ყოველთვის, გაცხოველებულად მოძრაობდა ტრანსპორტი საქართველოს სამხედრო გზაზე და უინვალისაც წარამარა აუვლ-ჩაუვლიდნენ „მოსკვიჩები“, „ვოლგები“, სატვირთო მანქანები, აუვლ-ჩაუვლიდნენ და განაგრძობდნენ გზას...

გზა ყოველთვის თავგადასავლებთანაა დაკავშირებული, სიხარულიც სდევს მას და თვალთა სიამეც, და დროდადრო ხიფათსაც არაა სულ მთლად მოკლებული: ან ვინმეს დაეჭახები ან ვინმე დაგეჭახება... მაგრამ ყოველგვარ დაჭახებას თავი რომ დააღწიო, კიდეც არის საფრთხე, რომელსაც ვერც სიფრთხილე ავაცილებს და ვერც ბნელი ღამე, რამეთუ ცეცხლი თივაში არ დაიმალება...

ჰოდა, იმ დღესაც არ დაიმალა. ავტომანქანები გავ 53 გრე 22-04, გრე 22-97 და გრე 23-03, რომლებსაც ავტოკოლონა № 2651-ის შოფრები ალექსანდრე დავითის-ძე ქობულაშვილი, ნოდარ არჩილის-ძე ჩაჩანიძე და გრიგოლ ვასილის-ძე ელიზარაშვილი მართავდნენ, ოცდაერთი კასრი ღვინით დატვირთული ქალაქ ორჯონიკიძის მიმართულებით მიჰქროდნენ და, ის-ის იყო, უინვალიც მშვიდობიანად უნდა გაევიღოთ, რომ მშვიდობიანად გააჩერეს ღუშეთის მილიციის მუშაკებმა და თავაწიანად კითხეს:

— საით მიბრძანდებით თქვენა?

— ორჯონიკიძისაკენა, — იყო პასუხი.

არ უკითხავთ რა მიგაქვთო, რადგანაც კასრებში ღვინო უნდა ჰქონოდით და არა თივა.

— საგზურები თუ გაქვთ, გვიბოძეთო, — ღიმილით შეჰკადრეს.

მძლოლებმა ჭერ ჭიბები მოიქექეს, მერე თავი და მერე არა გვაქვსო, აღიარეს.

მერე მარშრუტი ას ოთხმოცი გრადუსით შეიცვალა, მანქანებმა, მძლოლებმა, კასრებმა და ღვინომ მილიციის მუშაკების დიდი ხნის ნაცადი წინამძღოლობით, საბოლოოდ, ღუშეთში ამოაყვეს გახურებული თავი.

სამი დღე ეყარნენ კასრები „უპატრონოდ“ და მესამე დღის ბოლოს გამოცხადდნენ ღვინისა და კასრების პატრონები — ზესტაფონის რაიონის ბინადარნი: თომა ერმალოვის-ძე ჩიკვაძე, ბარნა დარისპანის-ძე გეწაძე, მირიან ლუკას-ძე ზარნაძე, ივანე არჩილის-ძე ყავთაძე, დავით ივანეს-ძე გაბრიჩიძე და ოთარ შალვას-ძე გაბრიჩიძე.

ღიას, გამოცხადდნენ ისინი, ნამდვილი, არაფალსიფიცირებული ადამიანები და, როგორც სათანადო ლაბორატორიულმა ანალიზმა უტყუარად დაადგინა, 21 კასრი (დაახლოებით 12 ათასი ლიტრი) ფალსიფიცირებული ღვინის, ანუ, როგორც აჭარაში იტყვიან, „შექერწყლის“ პატრონები.

კოკა წყალზე გატყდებო, აქ ოცდაერთი კასრი გატყდა შეფერადებულ წყალზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბანქოს მოთამაშეებისათვის საუკარელ-სალოლიაგებელმა რიცხვმა ოცდაერთმაც არ უშველათ, ჭერ არ მომხდარა რომ ბანქოს რომელიმე მოთამაშე ოცდაერთზე „დამწვარიყოს“ — ესენი კი, რაგინდ საოცარიც არ უნდა იყოს ეს ამბავი, სწორედ ოცდაერთზე „დიწვენენ“, და ახლა „შექერწყლის“ შემქმნელ-პატრონები და გადამტან-გადამზიდავები „სიღამეწვრის“ ხარისხის დადგენას ელოდებიან.

ქარაზოტი

ქვა-მარილი

ამბროლაურის რაიონის სოფელ წედის მცხოვრებლებს ვალერიან შიოს-ძე და ვარლამ ვასილის-ძე მაისურაძეებს აღწევანს წასვლა სულაც არ განუზრახავთ, რადგანაც მარილი-ბროლი აქვე იშოვებოდა, ცხინვალში.

ჩავიდნენ კიდეც და შეიძინეს სამი ტონა ქვა-მარილი, ჩაზიდეს ქორთოში და შეუდგნენ ძვირფასი მარილით ძვირფასი თანამემამულეების მოძარაგებას, მაგრამ წაასწრეს და წაამწარეს.

წავლეს ქეროში ხელი ვალერიანს და ვარლამს, ეს რა კერძო ვაჭრობა გაგიჩადებიათო.

ითხოვეს მოძმე მაისურაძეებმა: გაგვიშვით, მადლი ქენით და მარილს, ღვთის მოციმული აქა გვაქვს და ჩვენ მოვაყრიეთო.

მადლი ქნეს და მარილი მოაყარეს თუ არა, ესეც კია საინტერესო, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციებს, სადაც ჭერ არს, თვითონ რომ ჩაჰქონდეთ ქვა-მარილი, მარილით სპეკულაციას, როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, ადგილი არ ექნებოდა.

ღმერთმა ქნას, მომავალში მაინც მოხდეს ასე.

მწილი

აკაკი ერასტის-ძე ფიფია მზა პროდუქციის საწყობის გამგედ მუშაობდა ენგურის ქალაქის კომბინატში.

ერთ დღეს უყურა, უყურა რვეულებს და ნერწყვი მოადგა, რა კარგი რვეულებია, ზედ რამდენი რამე დაიწერებაო.

ამ სწავლამოწყურებულს მეგობარი ყავდა ფოთში, მასავით სწავლამოწყურებული — ფოთის მეთევზეთა კოოპერატივის კულტმალაზია № 1-ის გამგე-გამყიდველი არონ ისაკის-ძე ელაშვილი, რომელსაც მიუტანა 1186 მანეთის გატაცებული რვეულები და თხოვა, სწავლამოწყურებულებს მოემსახურე, თუ ძმა ხარო.

ჰოდა, რომ ემსახურებოდა, არ დაცალეს, ორივე სწავლამოწყურებულს ერთად მოუყარეს თავი, ახლა ისხედით და ისწავლეთ, რომ სახელმწიფო ქონების დატაცება სასჯელს ითხოვსო.

იმედია, ბეჭითად ისწავლიან, ტყუილად როდი ადგებოდათ პირზე ნერწყვი რვეულების დანახვისას.

ურკეულო


ნ.ბ. შირცხალაგასი



— დაურეკე, შე კაცო, უფროსს თუ პატიუბ ვახშმად!
— მაცალე, ქალო, წვერგაუპარსავი ხომ ვერ დავურეკავ!



— უფნ ხომ გახსოვს როგორ გაიარა ჩვენმა ახალგაზრდობამ: უიფოვლები და მფიცრები ვიყავით... ჰოდა, ახლა გოგომა მაინც ჩაიცვას რიბინად...




— დანიში, ჯეპი!

ნახ. ბ. ლომი



— ჩვენ მხოლოდ ფუნდამენტალურად ვაშენებთ!

ნახ. ლ. სოიფარბისისა



— მოკალაჰე, მოკალაჰე! მსახიობებს აინტერესებთ: მირა მოქმედებას ნახავთ?



კოდილი

ნახ. ლ. სამილოვისა



მისი სათვალე.

„კოკორილი“ ჩვენი სტუმარია

ქლიერი შთაბეჭდილება

მე ჩვენი დაწესებულების მომხმარებელი გახლავართ. ბუღალტერი გვყავს ყოველ საზიზღარი პიროვნება. ყოველ კაკიკს კრულავთ ახის. მისგან რამენი დასწარება აზრადაც არ გაივლით. ეს კი არა, როცა მმართველი ფულის მოთხოვნილებაზე გაცემის რეზოლუციას და-ადებს, მთავარი წამება მერე იწყება; ახლა ბუღალტერს დაწვრილებით უნდა უამბო, რა საჭმისათვისაა ეს ფული საჭირო, აუცილებელია თუ არა ამ ხარჯის გაწევა... არის თუ არა სარეზოლუციო საჭიროება ამ საგნის შეძენა გათვალისწინებული და სხვა და სხვა... და თქვენ ყოველი საკითხი ურყევად, მათემატიკურად უნდა დადასტუოთ... ბოლოს მაინც უარს გეტყვი-ვით უკეთეს შემთხვევაში, ამ თანხას მიიღებთ მნიშვნელოვან შემცირე-ბულს და ისიც ორი-სამი კვირის შემდეგ... და ყოველივე ამას ისეთი სახით აკეთებს, თითქოს თქვენ სიბრალულით საცა აქვითინდებოთ.

გასულ წამათს, სამუშაო დღის ბოლოს, ჩვენი კულტურული შემოვიდა განყოფილებაში, ყველას ცალ-ცალკე დაგვიარა და გვეხმოვა მეორე დღეა სალაზოში ჩვენი კავშირის კლუბში თვითმომქმედი წირის წარმოადგენას დაგ-სწრებოდით. პიესას ერქვა: „ფული ან სული“. რაღაც უჩვეულო სანახაო-ბას შეგვიპირდა. ჩვენც იქვე შევიძინეთ ბილეთები. მე ორი ვიყიდე. თან მიხაროდა, რომ ასეთი საინტერესო სპექტაკლის ბილეთები ასე იოლად ვიმოვე.

მე არ შევეუდებო ბიესისა და სპექტაკლის აკვარვიანობის განხილვას. რადგან ამის წინარი სპექტაკლის დასაწყისშივე დაგვარგე... მთავარ როლს ჩვენი მთავარი ბუღალტერი ასრულებდა.

მისი დანახვისთანავე მომავლდა ყველა უსიამოვნება და წყენა, რაც ჩემთვის მოუყენებია. ყველაზე უფრო ის მაშფოთებდა, რომ მის საცქეროდ ორი ბილეთის შეძენა მომხდა. მაგრამ, რას ვიზამდი? იძულებული ვიყავი მოქმედების ბოლომდე დავრჩენილიყავი — წესრიგს ხომ ვერ დავარღვევდი. ვიჯექი და ჩემს გულს ვასკდებოდი. ბუღალტერი გაბღენილი დაბოტებდა სცენაზე და, წარმოიდგინეთ, მაყურებელსაც ხშირად გადმოსხდებოდა... მომეჩ-ვენა, თითქოს დამინახა, მიცნო და ემშაურა ჩამიკრა თვალი, თითქოს მეუ-ნებოდა: აბა, ჩემთვის ტაში არ დაიშურო, თორემ ხომ იცი, შენი სული ჩემს ხელთ არისო. სუნთქვა შემიკრა, მაგრამ რას ვიზამდი. ვიჯექი და წარ-მოვდგენას ვუსმენდი, მიწა გამისკდეს, თუ ჩემს თავში რამე შესულიყოს. იგი მაშის როლს ასრულებდა.

მეორე მოქმედებაც, როგორც იქნა, გადავიტანე. ახლა მაყურებლის სიმ-ბათია უკვე გადაჭრით მაშის როლის შემსრულებლის მხარეზე იყო.

განსაკუთრებით აღნიშნავდნენ იმ სცენის ოსტატურად ჩატარებას, რო-დესაც ვაჟი მამას რაღაც საჭიროებისათვის ფულსა თხოვდა და ის სასტიკ უარს ეუბნებოდა. მართლაც, დიდი დამაჯერებლობით და ოსტატობით ჩა-ატარა ეს სცენა. მოსაკლავი არ იქნებოდა-მეთქი ვმ შეჩვენებული, ეს სცენა რომ ვერ დაეძლია. ამის მეტს სამსახურში ხომ არაფერს აკეთებს?

მესამე მოქმედება დაიწყო და მეც გული დავიმშვიდე: ერთ მოქმედე-ბას როგორმე გავუძლებ-მეთქი. მაგრამ, თქვენს მტერს! თურმე ნუ იტყვი, კაცი სწორედ იქ წაიკრავს ფეხს, სადაც არ მოვიდეს.

საქმე ისაა, რომ მოქმედების ბოლოში შემოიღეს ვაჟი და, ჩვეულებისა-მებრ, მამას, ესე იგი, ჩემს მტანჯველს, ფულს თხოვს. მამაც, ჩვეულებისა-მებრ, უარს ეუბნება... მაგრამ საქმე ისაა, რომ ვაჟი ნასვამია და დღეს უფრო დაჟინებით მოითხოვს ფულს. მამაც ჯორზე ჯდება. ჯორზე შეჯდომა ვერ არ უნდაო და შეიღმა კარგა გვარიანად ლანძღა ფულის გაცემის მოძულე მამა! სიმართლე გითხრათ, ამ სცენამ მეც გაბიტყავა... ვაჟის იე-რიშებმა როგორც გული მომფხანა. ისევე შეგვაშაონენ ერთმანეთს, მამამ ადგილი და ისეო. შეიღამაც ასეო და ისეო. მამლაცინებულებით ადგან პირისპირ და ერთმანეთს სხვადასხვა გამოთქმებით ამკობენ. მამამ ერთი უთხრა. შეიღმა ორი უპასუხა. მამამ — ორი, შეიღმა — ოთხი. ბოლოს მამა ძლიერ გაჯავრდა და გასარტყმელად ხელი მოუქნია. აქ კი შეიღმაც დაკარ-გა წინასწარობა... მოქმედული ხელი აიღებდა და იქვე მდგომ სკამს დას-წვდა, პარში აღმართა და მამისაკენ დაიძრა... ალბათ, დასარტყმელად, თორემ დასაჯდომად ხომ არ მიათმევდა! მაყურებელი გაიტრუნა. დარ-ბაზში ბუზის გაფრენას გაიკონებდით. შეილი მძიმე ნაბიჯით მიემართება მამისაკენ... მამა უკან იხევს... მაგრამ ეს სცენა ისე გაჭიანურდა, რომ გულში შიშმა გამკრა: ვაითუ ვაჟმა სკამის დარტყმა გადაიფიქროს-მეთქი და, სწორედ იმ დროს, როდესაც მამა უკან სვლით კარებს მიუახლოვდა, ველარ მოვითმინე და, ჩემდა უნებურად, რაც ძალა და ღონე მქონდა, და-ვიღრიალე: — არიქა, დასცხე მაგ არაშხადას, თორემ გაგეპარება! თქვენს მტერს, იქ რომ ამბავი მოხდა... მამამ კი მოასწრო კარებში გავარდნა, მაგ-რამ მე საით გავვარდნილიყავი, აღარ ვიცი: ჯერ ახლომასლო მსხდო-მებმა მოიტანეს არაორგანიზებული აფრინი... რაც მე იმათ მაკადრეს, იმის ნახვარი, რომ იმ ჩემი მტანჯველისათვის ეთქვათ, უბედნიერესი კაცი ვიქ-ნებოდი. მერე, გამოსვლისას ფიქვს კარებში კლუბის ხელმძღვანელობა და-სხვა მთელი შემადგენლობით... სხვათა შორის, ის ჩემი ამშენებელიც მათ შორის იყო, თურმე გამგებობს წვერი ყოფილა... რაც მაყურებელმა დამაკლო, ახლა იმათ შემისრულეს. ისეთი დღე დამაყენეს, ისეთი, რომ... ღმერთმა უშველოს, ისევე ჩემმა მეუღლემ მისხნა: ძლიერ მგრძობიარე გულის პატ-რონია... ეს სცენა კი მაშის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ისე შე-სანიშნავად ჩაატარა, რომ ჩემმა ქმარმა თავი ველარ შეეკავაო. პიესის ავ-ტორი და რეჟისორი მეტად კმაყოფილი დარჩნენ, მათმა შემოქმედებამ ასე-თი ძლიერი შთაბეჭდილება რომ მოახდინა მაყურებელზე. მაგრამ იმ ჩემი მტანჯველის მოტყუება ასე ადვილია? ისეთი თვალთ მიცქეროდა, ისე-თით, რომ... ეს... ერთი სიტყვით, სხვა დაწესებულებაში უნდა გადავიღე, თორემ აქ აღარ დამეფიქრებდა.

ბ. ზამრეკალი

შორსმხედველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ დიდ ტყეში ერთმა მელამ დათვი დაიბარტოხელა: — თუ მცემ პატივს, როგორც ნადირს, დაესწარი დღეს ჩემს ნადიმს, —

დათვმა უთხრა: — შენი გული გესლით საესე და მხაკვრული რამ აქცია წრფელად ასე?! — და გამოირდა მელას წამსვე.

შესციცინა მოკრძალებით: — იმედი მაქვს, მობრძანდები, გამახარებ მეტად, გწამდეს... დაგახვედრებ ირმის მწვადებს.

— რად ეხვეწა მელა ამდენს? — დათვს ნიშნავდნენ იმ ტყის გამგედ.

შ. შადრანიშვილი

3. ცხოვრებოში ოკი იბავი

მგელმა მელას სამი ქათამი წაართვა და უთხრა: — არ იფიქრო, სულ ჩემთვის მინდოდეს ესენი. ორი ცალი დათვს უნდა მივართვა, მე მხოლოდ ერთს დავიტოვებ.

„მაშინ მოგვადე, თუ ის ერთიც გადირსო“, — გაიფიქრა გულში მე-ლამ და გასაწყლებული ხმით თქვა:

— მე კი სამივე დათვისათვის მიმიქონდა, მაგრამ, რა გაეწყობა, რო-ცა შემხვდება, სიმართლეს ვეტყვი.

მგელი შეცბა და ნაძალადევი სიცილით ეს-ლა მოახერხა: — შენც დაიჯერე ჩემი ხუმრობა... წადი, წაუღე, მე შენ გეტყვი, არ გაუხარდება!

ვირმა, დათვმა და ირემმა პური მოიყვანეს და გალევეს. როცა ხვავს ანაწილებდნენ, მელაც მოვიდა და წილი მოითხოვა.

— შენ რა წილს ითხოვ, რა გაგიკეთებია? — გაბრაზდნენ მხეცები.

— როგორ თუ რა, — თავი გამოიღო მელამ, — განა ზაფხული რომ მოვიდა, მე არ შეგატყობინეთ?!

მხეცებმა ერთმანეთს გადახედეს და ერთხმად დაასკვნეს: — ოო, კი, ეკუთვნის, კი!..

თარგმანი ოსურიდან ბ. გოზიჩავისა



ბუნდესვერის გოროტი ნაკვალავი.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჰელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 19/XI-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კვ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3037. უფ 12140. ტირაჟი 40000



სამხრეთ ვიჯნაგეი

ამერიკული „მანჰანა“ კრემიერ-მინის-
ბრის ავტორიტარული ზეცვლისათვის.